შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია

ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

№

ქ. თბილისი

ერთი მხრივ, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“, წარმოდგენილი მისი **დირექტორის მოადგილის ნინო ნაროზაშვილის** სახით (შემდგომში - შემსყიდველი),
მის.: ქ. თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ. №5 და №7
საიდენტიფიკაციო კოდი: 412670097
საბანკო რეკვიზიტები: სს ლიბერთი ბანკის ცენტრალური ფილიალი
ბანკის კოდი: LBRTGE22
ანგარიშის ნომერი: GE77LB0113123325230012
ელ.ფოსტა: info@water.gov.ge

და მეორე მხრივ, ---------- წარმოდგენილი მისი ---------- სახით (შემდგომში - მიმწოდებელი),
მის. :
საიდენტიფიკაციო კოდი:
საბანკო რეკვიზიტები:
ბანკის კოდი:
ანგარიშის ნომერი:
ელ.ფოსტა:

შემდგომში თითოეული ცალ-ცალკე წოდებული, როგორც „მხარე“, ხოლო ერთობლივად წოდებულნი, როგორც „მხარეები“, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 16[1] მუხლის პირველი პუნქტის, „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის 33-ე მუხლის პირველი პუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის (----------) შედეგების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

მუხლი 1. შესყიდვის ობიექტის დასახელება და კლასიფიკატორის- CPV კოდი

1.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს - ----------
1.2.ამ მუხლის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის CPV კოდია: ----------
1.3. შესყიდვის ობიექტის ზუსტი აღწერა მოცემულია დანართ №1-ში (ხარჯთაღრიცხვა) და ტექნიკურ დავალებაში, რომლებიც ხელშეკრულებას თან ერთვის და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.
1.3.1. წინამდებარე მუხლის 1.3 პუნქტში მითითებული დანართი №1 (ხარჯთაღრიცხვა), ხელშეკრულების დადების ეტაპზე წარმოადგენს ზოგად ხარჯთაღრიცხვას, რომელიც საპროექტოს დოკუმენტაციის შემყიდველის მხრიდან ჩაბარების შემდეგ სავალდებულოა დაკორექტირდეს მხარეთა მიერ წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში, შეთანხმების გაფორმების გზით.
1.3.1.1. საპროექტო დოკუმენტაციის ჩაბარების შემდეგ ზოგადი ხარჯთაღრიცხვა უნდა ჩანაცვლდეს საპროექტო დოკუმენტაციის დეტალური ხარჯთაღრიცხვით.

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს - ---------- ***ლარს,*** საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.
2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს, მათ შორის ექსპერტიზის ხარჯებს.
2.3. დაფინანსების წყაროა ---------- წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

2.4. ხარჯთაღრიცხვაში (დანართი№1) დაფიქსირებული გაუთვალისწინებელი სამუშაოების თანხების ხარჯვა, ასეთის არსებობის შემთხვევაში, მიმწოდებლის მიერ მოხდება აუცილებლობიდან გამომდინარე, შემსყიდველთან შეთანხმებით. გაუთვალისწინებელი ხარჯების არსებობისას მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ასეთი ხარჯების დეტალური გაშიფვრა და დასაბუთება, რომლის საფუძველზეც მიზანშეწონილად მიჩნევის შემთხვევაში შემსყიდველის მხრიდან ინსპექტირებაზე უფლებამოსილი წარმომადგენლ(ებ)ის მიერ განხორციელდება შესასრულებელი სამუშაოების განხორცილების დადასტურება.

2.4.1. გაუთვალისწინებლი სამუშაოების გაწევის უფლება მიმწოდებელს ეძლევა გაუთვალისწინებელი ხარჯების ხარჯთაღრიცხვაში გაშიფვრის და დასაბუთების შესაბამისად მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში შესაბამისი ცვლილების შეტანის შემდეგ.

მუხლი 3. საპროექტო მომსახურების გაწევის, სამუშაოების გეგმა-გრაფიკის პირობები ვადა და ადგილი

3.1. საპროექტო მომსახურების (საკვლევ-საძიებო და დეტალური პროექტის მომზადება) ვადაა - ხელშეკრულების გაფორმებიდან ----------

3.1.1 შემსყიდველი იტოვებს უფლებას 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში გასცეს შენიშვნები და კომენტარები წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე.

3.1.2. მიმწოდებელი ვალდებულია, სრულად გაითვალისწინოს შემსყიდველის შენიშვნები და შესაბამისად ასახოს საპროექტო დოკუმენტაციაში. შემსყიდველის მხრიდან თითოეული ეტაპის საპროექტო დოკუმენტაციის განხილვისთვის საჭირო დრო (10 სამუშაო დღე) შედის საპროექტო სამუშაოების განხორციელების საერთო ვადაში ----------

3.2. საპროექტო დოკუმენტაცია წარმოდგენილ უნდა იქნას, როგორც ელექტრონულ ისე ბეჭდური ვერსიების სახით; 6 (ექვსი) ქართული. ტექსტური ნაწილი და ნახაზები წარმოდგენილი უნდა იქნას როგორც PDF ფორმატში, ისე ორიგინალი პროგრამის ფორმატში.

3.3. მიმწოდებელი ვალდებულია, უზრუნველყოს დეტალური პროექტის ტექნოლოგიურ, კონსტრუქციულ, ელეტრო-ტექნიკურ და სახარჯთაღრიცხვო ნაწილის ექსპერტიზა საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექპერტიზის ეროვნული ბიუროს ან ამ სფეროში აკრედიტებული პირის მიერ (სხვა აკრედიტებული პირის მიერ ექსპერტიზის ჩატარების შემთხვევაში, მიმწოდებელმა დასკვნასთან ერთად უნდა წარმოადგინოს აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტი).

3.4. მიმწოდებელი ვალდებულია, საპროექტო დოკუმენტაციასთან ერთად წინამდებარე მუხლის 3.1. პუნქტში მითითებულ ვადაში უზრუნველყოს შემსყიდველისთვის სამუშაოების შესრულების კვარტალური ფინანსური გეგმა-გრაფიკის შეთანხმება.

3.4.1. ფინანსურ გეგმა-გრაფიკებში მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკის გაწერა ფინანსურ (შესასრულებები სამუშაოების ღირებულება) ჭრილში.

3.4.2. მიმწოდებელმა სამშენებლო სამუშაოების წარმოება უნდა უზრუნველყოს კვარტალურ ფინანსურ გეგმა-გრაფიკში გაწერილი ვადებისა და არანაკლებ ამ ვადებში შესასრულებელი სამუშაოების ფიქსირებული ღირებულების შესაბამისი ფორმა №2-ების წარმოდგენით.

3.4.3. ფინანსური გეგმა-გრაფიკების ფარგლებში მიმწოდებელის მიერ წარმოდგენილი შესარულებულებული სამუშაოების (ფორმა№2) ჩათვლა ხორციელდება ნაზარდი ჯამის პრინციპით.

3.4.4. სამშენებლო სამუშაოების დაწყებაზე შემსყიდველი ორგანიზაციიდან წერილობითი შეტყობინების მიღებიდან არაუმეტეს 10 სამუშაო დღის ვადაში, კვარტალური ფინანსური გეგმა-გრაფიკის შეთანხმება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის სტრუქტურულ ერთეულებთან - საპროექტო და სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული პროექტების მართვისა და ზედამხედველობის დეპარტამენტებთან. სამუშაოების ფინანსურ გეგმა-გრაფიკში ხარვეზის აღმოჩენის ან გონივრული ცვლილების საჭიროების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის (საპროექტო დეპარტამენტის და სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული პროექტების მართვისა და ზედამხედველობის დეპარტამენტის) წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოს ხარვეზის გამოსწორება/გონივრული მითითების გათვალისწინება და გასწორებული ფინანსური გეგმა-გრაფიკის შემსყიდველთან (საპროექტო დეპარტამენტთან და სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული პროექტების მართვისა და ზედამხედველობის დეპარტამენტთან) წარდგენა. 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობა/მითითების შეუსრულებლობა იწვევს მიმწოდებლის პასუხისმგებლობას ამ ხელშეკრულების მე-13 მუხლის 13.2. პუნქტის შესაბამისად. სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის ფინანსური გეგმა-გრაფიკი წარმოადგენილი უნდა იქნას იმდაგვარად, რომ 2023 წლის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება შეადგენდეს არანაკლებ ხელშეკრულების ღირებულების 12%-ს, 2024 წლის ფარგლებში არანაკლებ 45%-ს, ხოლო დარჩენეილი ნაწილი 2025 წელს.

3.4.5. მიმწოდებლის მიერ შემსყიდველთან შეთანხმებული ფინანსური გეგმა-გრაფიკები, მხარეთა შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე უნდა დაერთოს წინამდებარე ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

3.5. წინამდებარე მუხლის 3.1 პუნქტით გათვალისწინებული საპროექტო მომსახურება იწარმოებს მიმწოდებლის ადგილსამყოფლის მიხედვით ან/და საჭირო შემთხვევებში, დასაპროექტებელი ობიექტის ადგილას.

3.6. მიმწოდებელი ვალდებულია, საპროექტო მომსახურების ვადის გაგრძელების ობიექტური გარემოებების არსებობის შემთხვევაში, ამავე მუხლის 3.1 პუნქტით განსაზღვრული ვადის გაგრძელების მოთხოვნით მიმართოს შემსყიდველს, ამ

ვადის ამოწურვამდე არანაკლებ 10 კალენდარული დღით ადრე. ამ ვადის დარღვევით წარმოდგენილი მოთხოვნა არ ექვემდებარება განხილვას. მიმწოდებელს საპროექტო მომსახურების ვადა არ გაუგრძელდება და დაეკისრება პირგასამტეხლო ამ ხელშეკრულების მე-13 მუხლის 13.2 პუნქტის შესაბამისად, გარდა იმ შემთხვევისა, თუ საპროექტო მომსახურების ვადის გაგრძელების ობიექტური გარემოებები წარმოიშვა ვადის ამოწურვამდე 10 კალენდარული დღით ადრე პერიოდის შემდგომ.

მუხლი 4. სამუშაოს შესრულების ვადა, პირობები და ადგილი

4.1. სამუშაოები შესრულებული უნდა იქნას ხელშეკრულებაზე თანდართული ტექნიკური დავალების, წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლში განსაზღვული პირობების შესაბამისად მომზადებული პროექტის და საპროექტო დოკუმენტაციის ჩაბარების ეტაპზე შეთანხმებული კვარტალური ფინანსური გეგმა-გრაფიკის შესაბამისად.
4.2. მიმწოდებელი ვალდებულია, სამშენებლო სამუშაოები შეასრულოს, საპროექტო დოკუმენტაციის ჩაბარებისა და მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და შემსყიდველის წერილობითი დავალების გაცემიდან ---------- ვადაში **(არაუმეტეს ----------),** ხოლო ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენის ვადაა - სამუშაოების დასრულების დღიდან არაუმეტეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში **(არაუგვიანეს ----------).**
4.3. სამუშაოების შესრულების ადგილი: ----------
4.4. მიმწოდებელი ვალდებულია, სამუშაოების ვადის გაგრძელების ობიექტური გარემოებების არსებობის შემთხვევაში, ამავე მუხლის 4.2 პუნქტით განსაზღვრული სამუშაოების ვადის გაგრძელების მოთხოვნით მიმართოს შემსყიდველს, ამ ვადის ამოწურვამდე არანაკლებ 10 კალენდარული დღით ადრე. ამ ვადის დარღვევით წარმოდგენილი მოთხოვნა არ ექვემდებარება განხილვას. მიმწოდებელს სამუშაოების ვადა არ გაუგრძელდება და დაეკისრება პირგასამტეხლო ამ ხელშეკრულების მე-13 მუხლის 13.3 პუნქტის შესაბამისად, გარდა იმ შემთხვევისა, თუ სამუშაოების დასრულების ვადის გაგრძელების ობიექტური გარემოებები წარმოიშვა სამუშაოების დასრულების ვადის ამოწურვამდე 10 კალენდარული დღით ადრე პერიოდის შემდგომ.

მუხლი 5. ანგარიშსწორების წესი

5.1. ხელშეკრულების ფარგლებში ანგარიშსწორება იწარმოება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, საქართველოს ეროვნულ ვალუტაში - ლარი, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე.
5.2. ანგარიშსწორება მხარეთა შორის განხორციელდება ეტაპობრივად:
5.2.1. საპროექტო მომსახურებასთან დაკავშირებით ანგარიშსწორება შემსყიდველის მხრიდან განხორციელდება მიმწოდებლის მიერ სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან სხვა აკრედიტებულ პირის ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და ელექტრონული საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
5.2.2. შესრულებული სამშენებლო სამუშაოს შუალედური ანგარიშსწორება შემსყიდველის მხრიდან განხორციელდება არანაკლებ ორ ტრანშად (პირველი ტრანში არაუგვიანეს 31 ივლისი, მეორე ტრანში არაუგვიანეს 31 დეკემბერი), რაც უნდა დასტურდებოდეს მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი და შემსყიდველის უფლებამოსილი პირების მიერ ხელმოწერილი ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების აქტის (ფორმა 2) და ელექტრონული საგადასახადო ანგარიშფაქტურით. ამასთან შემსყიდველი ვალდებულია აანაზღაუროს მხოლოდ კვარტალურ ფინანსურ გეგმა-გრაფიკში საანგარიშო პერიოდისათვის გაწერილი შესასრულებელი სამუშოების ღირებულების 75%, ამასთან შემსყიდველი იტოვებს უფლებამოსილებას აანაზრაუროს წინსწრებით შესრულებული სამუშოების ღირებულება.
5.2.3. შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში, თითოეულ სოფელში ან/და თემში ან/და ადმინისტრაციულ ერთეულში, შესრულებული სამუშაოს საბოლოო ანგარიშსწორების ეტაპზე, შემსყიდველი უზრუნველყოფს ხარისხის უხრუნველყოფის მიზნით დაკავებული 7.5%-ისა და შესრულებული სამშნებლო სამუშაოს შუალედური ანგარიშსწორებისას დაკავებული 15%-ის გადახდას, ხოლო დარჩენილი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დაკავებული 2.5%-ის გადახდა განხორციელდება საგარანტიო პერიოდის გასვლის შემდგომ.
5.2.3.1 შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში, **თითოეულ სოფელში ან/და თემში ან/და ადმინისტრაციულ ერთეულში,** შესრულებული სამუშაოს საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელებისთვის საჭირო დოკუმენტაცია მოიცავს: მე-**9 მუხლის** შესაბამისად, მხარეთა შორის გაფორმებული საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტს და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ელექტრონული საგადასახადო ანგარიშფაქტურას.
5.3. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ, არ შეადგინა ხელშკრულებით განსაზღვრული სამუშაოების ღირებულება, შემსყიდველი მიმწოდებელს აუნაზღაურებს ფაქტობრივი შესრულების ღირებულებას, მაგრამ არაუმეტეს ხელშკრულებაში განსაზღვრული სამუშაოების ღირებულებისა.

მუხლი 6. შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადა

6.1. შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადა შეადგენს შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების მე-9 მუხლის შესაბამისად დასრულებული სამუშაოების მიღებიდან 1 (ერთი) წელს.
6.2. შესრულებულ სამუშაოზე საგარანტიო ვადის ამოწურვის ბოლო სამუშაო დღის ჩათვლით დაფიქსირებული შესაბამისი ხარვეზების აღმოფხვრა, ევალება მიმწოდებელს. მიმწოდებელი ვალდებულია, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ხარვეზების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აღმოფხვრა.
6.3. სამუშაოს ხარისხის დაცვის მიზნით, შემსყიდველის მიერ ყოველი შესრულებული სამუშაოების ღირებულებიდან, წინამდებარე ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.2.1 და 5.2.2 პუნქტებით განსაზღვრული ანგარიშსწორების დროს, დაკავებული იქნება შესრულებული სამუშაოების ღირებულების არანაკლებ 25%, ხოლო 5.2.3 პუნქტით განსაზღვრული ანგარიშსწორებოს დროს - 2.5%.
6.3.1 წინამდებარე ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.2.3 პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ეტაპზე, შემსყიდველი უზრუნველყოფს 5.2.1 და 5.2.2 პუნქტებით განსაზღვრული ანგარიშსწორებისას დაკავებული შესრულებული სამუშაოების ღირებულების 25%-დან 22.5%-ის დაბრუნებას. დარჩენილი დაკავებული ნაწილის 2.5%-ის დაბრუნება განხორციელდება ამავე მუხლის 6.7 პუნქტის მიხედვით.
6.4. იმ შემთხვევაში, თუ შესრულებულ სამუშაოებში დაფიქსირებული იქნება შესრულებული სამუშაოს დეფექტ(ებ)ი, არ გაფორმდება სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი და მიმწოდებელს ამ მუხლის მე-3 პუნქტში განსაზღვრული სამუშაოს ხარისხის დაცვის მიზნით დაკავებული თანხის 7.5% არ აუნაზღაურდება სამუშაოს დეფექტ(ებ)ის გამოსწორებამდე.
6.5. მიმწოდებელი ვალდებულია ამ მუხლის 6.4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, უზრუნველყოს დაფიქსირებული დეფექტ(ებ)ის გამოსწორება. დაფიქსირებული დეფექტ(ებ)ის გამოუსწორებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების მე-13 მუხლის 13.1 პუნქტის შესაბამისად.
6.6. იმ შემთხვევაში, თუ საგარანტიო პერიოდის ჩათვლით დაფიქსირებული დეფექტე(ებ)ის აღმოფხვრას მიმწოდებელი ვერ/არ უზრუნველყოფს, შემსყიდველი მიმწოდებელს არ აუნაზღაურებს ხარისხის დაცვის მიზნით დაკავებული თანხის მეორე ნაწილს (2.5 %) და დააკისრებს პირგასამტეხლოს ხელშეკრულების მე-13 მუხლის 13.1 პუნქტის შესაბამისად.
6.7. სამუშაოს ხარისხის დაცვის მიზნით, შემსყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.2.3 პუნქტით განსაზღვრული ანგარიშსწორების შემდეგ, სამუშაოს ხარისხის დაცვის მიზნით შემსყიდველის მიერ დაკავებული შესრულებული სამუშაოების ღირებულების 2.5 %-ის დაბრუნება მოხდება საგარანტიო ვადის - 1 (ერთი) წლის გასვლის შემდეგ, თუ ობიექტზე შემსყიდველის ინსპექტირების ჯგუფის მიერ წარდგენილ იქნა შესაბამისი აქტი, რომლითაც დადასტურდება საგარანტიო ვადის გასვლის შემდეგ დეფექტ(ებ)ის არარსებობა.

მუხლი 7. საპროექტო მომსახურების და სამუშაოს შესაბამისობა

7.1. ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული საპროექტო მომსახურება მიმწოდებლის მიერ უნდა შესრულდეს ჯეროვნად, ხელშეკრულებაზე თანდართული ტექნიკური დავალების, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ნორმების, წესების და შემსყიდველის მოთხოვნების შესაბამისად.
7.2. ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული სამუშაო მიმწოდებლის მიერ უნდა შესრულდეს ჯეროვნად, სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის, ხელშეკრულებაზე თანდართული ტექნიკური დავალების, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი სამშენებლო და გარემოსდაცვითი (არსებობის შემთხვევაში) ნორმებისა და წესების და შემსყიდველის მოთხოვნების შესაბამისად.
7.3. ამ მუხლის 7.1 და 7.2 პუნქტებში განსაზღვრული წესებიდან და ნორმებიდან მიმწოდებლის მხრიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, არ მიიღოს საპროექტო მომსახურება ან/და სამუშაო ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

მუხლი 8. საპროექტო მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

8.1. მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის წარდგენილი, ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბოლოო საპროექტო დოკუმენტაციის (დადებით ექსპერტიზის დასკვნასთან ერთად) ჩაბარების უზრუნველსაყოფად მხარეთა შორის ფორმდება საპროექტო მომსახურების მიღება-ჩაბარების ორმხრივი აქტი, რის საფუძველზეც შემსყიდველი აუნაზღაურებს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულებას მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
8.2. საპროექტო მომსახურება მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.
8.3. გაწეული საპროექტო მომსახურების მიღების და საბოლოო შემოწმების ადგილია შემსყიდველის ადგილსამყოფელი და/ან საჭირო შემთხვევებში დასაპროექტებელი ობიექტი.
8.4. შემსყიდველი ამოწმებს მიმწოდებლის მიერ გაწეული საპროექტო მომსახურების მოცულობას და ხარისხს.

8.5. საპროექტო მომსახურებას შემსყიდველის მხრიდან იბარებს შემსყიდველის სტრუქტურული ერთეული - **საპროექტო დეპარტამენტის უფლებამოსილი წარმომადგენელი/წარმომადგენლები.**
8.6. მიმწოდებელი ვალდებულია საპროექტო მომსახურების ჩაბარების დღიდან ეტაპობრივად მოახდინოს ტექნიკური დოკუმენტაციის (სამშენებლო მასალების სერტიფიკატები) შეთანხმება და სამშენებლო სამუშაოების დაწყება.

მუხლი 9. სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესი

9.1. მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის შესრულებული სამუშაოების წარდგენა ხორციელდება, წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.4 პუნქტით განსაზღვრული კვარტალური ფინანსური გეგმა-გრაფიკის შესაბამისად.
9.2. ამავე მუხლის 10.1 პუნქტით განსაზღვრული შესრულებული სამუშაოები მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი და შემსყიდველის უფლებამოსილი პირების მიერ ხელმოწერილი ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების აქტის (ფორმა 2) საფუძველზე.
9.3. ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სამუშაოების შემოწმებას და მიღება-ჩაბარებას ახორციელებს შემსყიდველის სტრუქტურული ერთეული - ---------- რომელიც ადგილზე ამოწმებს ხელშეკრულებით განსაზღვრულ შუალედურად შესრულებულ სამუშაოთა მოცულობას და ხარისხს.
9.4. შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში, **თითოეულ სოფელზე ან/და თემზე ან/და ადმინისტრაციულ ერთეულზე,** საბოლოო მიღება-ჩაბარება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ ექსპერტიზის დადებითი დასკვნის წარმოდგენის შემდეგ, 10 სამუშაო დღის ვადაში.
9.5. შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია, **თითოეულ სოფელში ან/და თემში ან/და ადმინისტრაციულ ერთეულში,** სამუშაოების დასრულების შემდეგ წარმოადგინოს ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირს მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნა (სხვა აკრედიტებული პირის მიერ ექსპერტიზის ჩატარების შემთხვევაში, მიმწოდებელმა დასკვნასთან ერთად უნდა წარმოადგინოს აკრედიტების დამადასტურებელი დოკუმენტი).
9.6. ექსპერტიზის დასკვნასთან ერთად მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს შესრულებითი ნახაზების ელექტრონული ვერსია SHP ფორმატში, მოცემული ინსტრუქციის შესაბამისად. ასევე, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა (მათ შორის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 8 აგვისტოს 388 დადგენილებით დამტკიცებული ,,მიწის ნაკვეთის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოს შესრულებისა და დოკუმენტირების წესის“) და სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად შედგენილი, მოწყობილი ან/და რეაბილიტირებული ქსელის - ხაზობრივი ნაგებობის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზები (ციფრულ და ქაღალდის ვერსიების სახით), სადაც დაინტერესებულ პირად უნდა იქნას მითითებული - შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“.
9.7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დადებითი დასკვნის საფუძველზე. შემსყიდველის მხრიდან მიღება ჩაბარების აქტს და ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების აქტს (ფორმა 2) ხელს მოაწერს შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" უფლებამოსილი წარმომადგენელი/წარმომადგენლები.

მუხლი 10. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

10.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

10.1.1 სამუშაოს შესრულების და მასთან დაკავშირებული საპროექტო მომსახურების გაწევის პროცესში იხელმძღვანელოს ხელშეკრულების მე-8 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად;
10.1.2 სამუშაო და მასთან დაკავშირებული საპროექტო მომსახურება განახორციელოს ხელშეკრულების მე-3 და მე-4 მუხლებში და ხელშეკრულებაზე თანდართულ ტექნიკურ დავალებაში განსაზღვრულ ვადებში და პირობებით;
10.1.3 უზრუნველყოს შემსყიდველისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით სამუშაოების შესრულება კვარტალურ ფინანსურ გეგმა- გრაფიკში განსაზღვრული ვადების დაცვით;
10.1.4 სამუშაოების შესრულება უზრუნველყოს ახალი (ექსპლუატაციაში არ მყოფი) მასალებით ხელშეკრულების პირობების დაცვით;
10.1.5 შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში, **თითოეულ სოფელში ან/და თემში ან/და ადმინისტრაციულ ერთეულში,** სამუშაოების დასრულების შემდეგ მიმწოდებელმა 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში უნდა წარმოადგინოს ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც გაცემული უნდა იყოს ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს ან სხვა აკრედიტებულ პირის მიერ (სხვა აკრედიტებული პირის მიერ ექსპერტიზის ჩატარების შემთხვევაში, მიმწოდებელმა დასკვნასთან ერთად უნდა წარმოადგინოს აკრედიტების დამადასტურებელი დოკუმენტი). ექსპერტიზის დასკვნასთან ერთად მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს შესრულებითი ნახაზების ელექტრონული ვერსია SHP ფორმატში, სატენდერო დოკუმენტაციაზე თანდართული ინსტრუქციის შესაბამისად.

10.1.6 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოთა შესრულებისას და მასთან დაკავშირებული საპროექტო მომსახურების გაწევისას იხელმძღვანელოს საქართველოს კანონმდებლობის, საპროექტო დოკუმენტაციის, სპეციფიკაციების, ხელშეკრულებაზე თანდართული ტექნიკური დავალების და ხელშეკრულების სხვა პირობების შესაბამისად;

10.1.7 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში იქონიოს მუდმივი კავშირი შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამის დეპარტამენტთან;

10.1.8 საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტ(ებ)ის აღმოფხვრა;

10.1.9 მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, წარუდგინოს მას ინფორმაცია გასაწევი ან/და გაწეული საპროექტო მომსახურების და შესასრულებელი ან/და შესრულებული სამუშაოების შესახებ;

10.1.10 შემსყიდველს უმოკლეს ვადაში აცნობოს მისი მოსალოდნელი რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ;

10.1.11 საპროექტო დოკუმენტაცია წარადგინოს მისი და შესაბამისი სპეციალისტის (ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, ტექნიკური გადაწყვეტილების მიმღები) მიერ ხელმოწერილი სახით;

10.1.12 უზრუნველყოს სამშენებლო ობიექტზე შრომის უსაფრთხოების პირობების დაცვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

10.1.13 დაიცვას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება და გარემოსდაცვითი დოკუმენტები და უზრუნველყოს სამუშაოების წარმოება მათი გათვალისწინებით;

10.1.14 უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ვალდებულებების შესრულება.

10.1.15. საპროექტო დოკუმენტაციის სისრულეზე და სისწორეზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი. იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში გამოიკვეთა საპროექტო დოკუმენტაციაში ცვლილების განხორციელების აუცილებლობა, რომელიც მიმწოდებელს უნდა გაეთვალისწინებინა საპროექტო დოკუმენტაციაში და არ წარმოადგენს მისგან დამოუკიდებელ მიზეზს, საპროექტო ცვლილებით გამოწვეული სამუშაოების ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

10.1.16. მისი ბრალით, ნებართვის (სამშენებლო ნებართვა, სს „საქართველოს რკინიგზის“ ნებართვა, ტყით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის ნებართვა და/ან სხვა) მოპოვებისათვის, მოსაკრებლის განმეორებით გადახდის აუცილებლობის შემთხვევაში, თუ აღნიშნული მოსაკრებელი გადახდილ იქნა შემსყიდველის მიერ, მიმწოდებელი ვალდებულია აღნიშნული მოსაკრებლის თანხა, აუნაზღაუროს შემსყიდველს მისი მოთხოვნისთანავე.

10.2 შემსყიდველი ვალდებულია:

10.2.1 განიხილოს მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის წარდგენილი საპროექტო დოკუმენტაცია, დოკუმენტაციის მიღებიდან არაუმეტეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში;

10.2.2 შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოებისა და გაწეული მომსახურების ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების შესაბამისად.

მუხლი 11. კონტროლი (ინსპექტირება)

11.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების, გაწეული საპროექტო მომსახურების და შესრულებული სამუშაოს მოცულობის, ხარისხისა და შესრულების ვადების დაცვის კონტროლს (ინსპექტირება) ახორციელებს შემსყიდველის სტრუქტურული ერთეულები - ----------

11.2. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე, შემსყიდველი უფლებამოსილია, განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება). გაწეული საპროექტო მომსახურების ტექნიკური მონიტორინგი და ვადების დაცვის კონტროლი ევალება - შემსყიდველი ორგანიზაციის სტრუქტურულ ერთეულს საპროექტო დეპარტამენტს, ხოლო შესრულებული სამუშაოების ტექნიკური მონიტორინგი და ვადების დაცვის კონტროლი ევალება - შემსყიდველი ორგანიზაციის სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული პროექტების მართვისა და ზედამხედველობის დეპარტამენტი, ასევე, ფინანსური მართვა (საავანსო გადახდების მართვა, შესრულებული სამუშაოების შესაბამისი ანგარიშსწორება, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების კონტროლი) ევალება - შემსყიდველი ორგანიზაციის სტრუქტურულ ერთეულს ბუღალტრული აღრიცხვის დეპარტამენტს.

11.3. მიმწოდებელი ვალდებულია, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შემსყიდველი, კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

11.4. მიმწოდებელი ვალდებულია, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტ(ებ)ის აღმოფხვრა და კონტროლის (ინსპექტირების) ხელახლა განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება.

11.5. სამუშაოების და მასთან დაკავშირებული საპროექტო მომსახურების მიმდინარეობაზე შემსყიდველი კონტროლს (ინსპექტირებას) აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის, საპროექტო დოკუმენტაციის, სპეციფიკაციების, ხელშეკრულებაზე თანდართული ტექნიკური დავალებისა და ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, რომელთა დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, შეაჩეროს სამუშაოების ან/და მასთან დაკავშირებული საპროექტო მომსახურების მიმდინარეობა და განახორციელოს ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები.

11.6. ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში შემსყიდველსა და მიმწოდებლს შორის ფორმდება შესაბამისი აქტი, სადაც დეტალურად აღიწერება ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების მიზეზ(ებ)ი, რის შემდგომაც შემსყიდველი უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ აამოქმედოს ხელშეკრულებით განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია. თუ მიმწოდებლის წარმომადგენელი უარს აცხადებს ამ პუნქტში აღნიშნული აქტის შედგენაში მონაწილეობაზე, ხსენებული ფიქსირდება ამავე აქტში და იგი იწვევს იმავე სამართლებრივ შედეგებს, რასაც გამოიწვევდა მიმწოდებლის წარმომადგენლის მონაწილეობით შედგენილი აქტი.

11.7. სამუშაოების ან/და მასთან დაკავშირებული საპროექტო მომსახურების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია, თავისი სახსრებით დაუყოვნებლივ აღმოფხვრას დეფექტ(ებ)ი. სამუშაოების ან/და მასთან დაკავშირებული საპროექტო მომსახურების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს არ უნაზღაურდება დეფექტ(ებ)ით შესრულებული სამუშაოების/მომსახურების ღირებულება.

11.8. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან, შესრულებულ სამუშაოთა შემსყიდველისთვის წარდგენილი მოცულობები შემსყიდველის მიერ გადამოწმების შემთხვევაში არ შეესაბამება რეალობას, შემსყიდველი ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული აქტის შედგენის შემდეგ არ უნაზღაურებს მიმწოდებელს აღნიშნულ სამუშაოთა ღირებულებას და განიხილავს მიმწოდებლის პასუხისმგებლობის საკითხს ხელშეკრულებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვნად შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობა ან/და არაჯეროვანი შესრულება გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ომი, კარანტინი, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ.) ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა. დაუძლეველი ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება მოვლენებს, რომელთა წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ (ფორს-მაჟორი).

12.2. მხარე, რომელსაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების მიზეზად ფორს-მაჟორი მოჰყავს, ვალდებულია, დაუყოვნებლივ, მაგრამ ფორს-მაჟორის მოვლენის დადგომიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა, წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ასეთი მოვლენის დადგომისა და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ; წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვნად შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, შესაბამისმა მხარემ უნდა წარადგინოს ფორს-მაჟორის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, და დაასაბუთოს, რომ ფორს-მაჟორმა არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაში.

12.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს-მაჟორული მდგომარეობის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 13. პასუხისმგებლობა

13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულებისათვის დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 3%-ის ოდენობით.

13.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით, რომელიც მოიცავს წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.1 პუნქტისა და მე-3 მუხლის 3.4 პუნქტის 3.4.4 ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ვადებს.

13.3 კვარტალური ფინანსური გეგმა-გრაფიკით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

13.4. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადა ირღვევა ფინანსური გეგმა-გრაფიკით განსაზღვრულ ნებისმიერ ეტაპზე 40 ან მეტი კალენდარული დღის განმავლობაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების 13.1, 13.2 და 13.3 პუნქტებით დაკისრებული პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
13.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
13.6. ამ მუხლით გათვალისწინებული საჯარიმო და პირგასამტეხლოს თანხები დაუკავდება მიმწოდებელს სამუშაოს ღირებულებიდან, იმ შემთხვევაში თუ სამუშაოს შესრულება არ არის განხორციელებული, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნიდან 5 სამუშაო დღეში გადაიხადოს შესაბამისი თანხა შემსყიდველის სასარგებლოდ, ხოლო იმ შემთხვევაში თუ სამუშაოს ღირებულება ნაკლებია საჯარიმო თანხაზე მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნიდან 5 სამუშაო დღეში გადაიხადოს შემსყიდველის სასარგებლოდ საჯარიმო თანხებსა და სამუშაოს ღირებულებას შორის არსებული სხვაობა.

მუხლი 14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია, მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რაზედაც აცნობებს მეორე მხარეს წერილობითი ფორმით.
14.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მეორე მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა პირობების შესრულებისგან.
14.3. ხელშეკრულების შეწყვეტა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ხორციელდება მხარეთა შორის შეთანხმების გაფორმების გზით.
14.4. შემსყიდველი უფლებამოსილია, ვადამდე, ცალმხრივად შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება თუ:
14.4.1 მიმწოდებელი არღვევს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს) ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებას/ვალდებულებებს;
14.4.2 მიმწოდებლის მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების ან გადახდისუუნარობის საქმისწარმოება (მიუხედავად მისი დაწყების დროისა);
14.4.3 მიმწოდებლის ქონებას დაედო ყადაღა, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია, ზეგავლენა მოახდინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაზე;
14.4.4 მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია, მოახდინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაზე;
14.4.5 ამოიწურა ხელშეკრულებაზე თანდართული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიით განსაზღვრული თანხა/ვადა და მიმწოდებელმა შემსყიდველს არ წარუდგინა ახალი საბანკო გარანტია;
14.4.6 მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადა ირღვევა, მათ შორის ფინანსური გეგმა-გრაფიკით განსაზღვრულ ნებისმიერ ეტაპზე 40 ან მეტი კალენდარული დღის განმავლობაში;
14.4.7 ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებელმა ხელშეკრულების დადების მიზნით ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება;
14.4.8 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
14.5. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, მიმწოდებელს არ ჩაურიცხოს შესრულებული სამშნებლო სამუშაოს შუალედური ანგარიშსწორებისას დაკავებული თანხა სრული ოდენობით, რაც მიმწოდებელს არ ათავისუფლებს შემსყიდველისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან.

მუხლი 15. უფლებების გადაცემა

15.1 ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებით განსაზღვრული თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
15.2. ხელშეკრულების ფარგლებში მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

მუხლი 16. შეტყობინება

16.1. ხელშეკრულების ფარგლებში მხარეებს შორის კომუნიკაცია ხორციელდება წერილობითი ფორმით. ნებისმიერი შეტყობინება (დოკუმენტაცია) მხარეებმა შეიძლება, მიიღონ საფოსტო გზავნილით, შესაბამისი მხარის ოფიციალურ მისამართზე ან/და ოფიციალური ელექტრონული ფოსტის მისამართზე (საჭიროების შემთხვევაში, ორიგინალის შემდგომი წარდგენით).

16.2. ამ ხელშეკრულებაში, მხარეთა რეკვიზიტებში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართი, წარმოადგენს მხარეთა ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტას. ელექტრონული გზავნილი/შეტყობინება მიღებულად ჩაითვლება მისი გაგზავნის დღეს, მიუხედავად იმისა, ადრესატი დაასტურებს თუ არა მის მიღებას. ელექტრონული გზავნილი არ ჩაითვლება მიღებულად, თუ გამგზავნმა მიიღო შესაბამისი საფოსტო სერვერიდან შეტყობინება, რომ ადრესატის მისამართზე გზავნილი არ მივიდა.
16.3. მხარეები იღებენ ვალდებულებას, რომ შეინარჩუნებენ ხელშეკრულებაში მითითებულ ელექტრონულ ფოსტას აქტიურ მდგომარეობაში, ხოლო მისი ცვლილების შემთხვევაში მომდევნო სამუშაო დღეს წერილობით შეატყობინებენ მეორე მხარეს ახალი ელექტრონული ფოსტის მისამართს. აღნიშნულის თაობაზე შეუტყობინებლობის შემთხვევაში, ელექტრონული შეტყობინება (დოკუმენტაცია) გაიგზავნება ხელშეკრულებაში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე და ითვლება მიღებულად.

მუხლი 17. კონფიდენციალურობა და კეთილსინდისიერება

17.1. მიმწოდებელი (მათ შორის მისი თანამშრომლები და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები) ვალდებულია დაიცვას ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული ინფორმაცია/დოკუმენტაცია ან/და დოკუმენტაცია/ინფორმაცია რომელიც მიიღო ხელშეკრულების ფარგლებში ან/და დოკუმენტაცია რომელიც მოამზადა ხელშეკრულების ფარგლებში, არ გადასცეს იგი მესამე პირებს და არ გაავრცელოს საჯაროდ შემსყიდველის წინასწარი თანხმობის გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ასეთი ინფორმაციის გაცემა გამოწვეული არის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად ან/და თუ ეს მოთხოვნილია საქართველოს კანონმდებლობით.
17.2. ამ მუხლის 17.1 პუნქტში განსაზღვრულ ქმედებას ამ სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში მხარეები განიხილავენ როგორც არაკეთილსინდისიერ ქმედებას.
17.3. ამ მუხლის 17.1 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომა ან/და ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება ან/და გამოითხოვოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია სრული ოდენობით.
17.4. ამ მუხლის 17.1 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება არ არის დამოკიდებული ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე. მიმწოდებელი ვალდებულია აღნიშნული ვალდებულება დაიცვას ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგაც. ამ პუნქტის დარღვევის შემთხვევაში მხარეები თანხმდებიან, რომ მიმწოდებელი შემსყიდველს პირგასამტეხლოს სახით გადაუხდის ხელშეკრულების ღირებულების 10 %-ს. ამასთან, შემსყიდველი იტოვებს უფლებას მოითხოვოს მიმწოდებლისაგან ზიანის ანაზღაურება.

მუხლი 18. ხელშეკრულების მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადასინჯვის წესი

18.1. ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
18.2. მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმების გზით. მხარეთა მიერ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება საქართველოს სასამართლოს მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 19. სხვა პირობები

19.1. ხელშეკრულებაში შესატანი ნებისმიერი ცვლილება ან დამატება უნდა გაფორმდეს მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, ამ პუნქტის შესაბამისად გაფორმებული შეთანხმება მხარეთა ხელმოწერისთანავე წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
19.2. თუ ხელშეკრულების ცლილების საჭიროება გამოწვეულია სამუშაოთა მოცულობის გაზრდის გამო, გამოყენებული იქნება წინამდებარე ხელშეკრულების დანართი №1-ით (ხარჯთაღრიცხვა) გათვალისწინებული ერთეულის ფასები, ხოლო თუ აუცილებელი გახდა ხელშეკრულების დანართი №1-ით (ხარჯთაღრიცხვა) გაუთვალისწინებელი სამუშაოს დამატების გამო ცვლილების განხორციელება ასეთ შემთხვევაში ერთეულის ფასის დაანგარიშება უნდა განხორციელდეს ცვლილების განხორციელების პერიოდისათვის საბაზრო ფასის მიხედვით.
19.3. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ხელშეკრულების ღირებულებისა და ანგარიშსწორებიდან გამომდინარე ან რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, მათ შორის, ფასების გადასინჯვის აუცილებლობა, ასეთი ცვლილებები დასაშვებია ხელშეკრულების საერთო შინაარსის ფარგლებში. ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია, წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია.
19.4. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

19.5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
19.6. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, დამოწმებულია მატერიალურად ან/და ელექტრონულად უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ.
19.7. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
19.8. ხარჯთაღრიცხვა, ტექნიკური დავალება და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 20. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
20.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან ----------, გარდა წინამდებარე ხელშეკრულების მე-6 და მე-13 მუხლებისა.
20.1.1. წინმადებარე ხელშეკრულების მე-6 და მე-13 მუხლები ძალაშია, მთელი საგარანტიო ვადის განმავლობაში.

21. მხარეთა ხელმოწერები:

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“	
_____	_____
ნინო ნაროზაშვილი	
დირექტორის მოადგილე	